

შპს ელიტ მოტორსი

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები	16
4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	17
7. ძირითადი საშუალებები	18
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
9. სესხები და გადასახდელი პროცენტები	19
10. ამონაგები	20
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
12. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	20
13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	21
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ელიტ მოტორსის დირექტორს და მფლობელებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ელიტ მოტორსი-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ელიტ მოტორსი-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ელიტ მოტორსი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ელიტ მოტორსი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას,

აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ალექსანდრე სხილაძე.

ალექსანდრე სხილაძე

პარტნიორი

Crowe GE LLC

17-იანვარი-2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2023	2022
	შენ.	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	2,693,574	5,584,282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,566,980	4,264,877
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	19,382,596	10,932,138
გადახდილი ავანსები		289,900	501,801
სულ მიმდინარე აქტივები:		25,933,050	21,283,098
ძირითადი საშუალებები	7	979,192	732,552
არამატერიალური აქტივები		10,029	8,409
სულ		26,922,271	22,024,059
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	13,576,465	9,946,729
მიღებული ავანსები		1,690,811	529,261
სესხები და გადასახდელი პროცენტები	9	-	1,003
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები		51,006	28,697
გადასახადები		438,071	872,324
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		15,756,353	11,378,014
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		29,408	30,560
საკუთარი კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		4,000	4,000
გაუნაწილებელი მოგება		11,132,510	10,590,990
გადაფასების რეზერვი		-	20,495
სულ		26,922,271	22,024,059

ზვიად ანთელიძე,
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2023	2022
	შენ.	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	2,693,574	5,584,282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,566,980	4,264,877
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	19,382,596	10,932,138
გადახდილი ავანსები		289,900	501,801
სულ მიმდინარე აქტივები:		25,933,050	21,283,098
ძირითადი საშუალებები	7	979,192	732,552
არამატერიალური აქტივები		10,029	8,409
სულ		26,922,271	22,024,059
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	13,576,465	9,946,729
მიღებული ავანსები		1,690,811	529,261
სესხები და გადასახდელი პროცენტები	9	-	1,003
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები		51,006	28,697
გადასახადები		438,071	872,324
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		15,756,353	11,378,014
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		29,408	30,560
საკუთარი კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		4,000	4,000
გაუნაწილებელი მოგება		11,132,510	10,590,990
გადაფასების რეზერვი		-	20,495
სულ		26,922,271	22,024,059



ზვიად ანთელიძე,
დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2023	2022
	შენ	წლის	წლის
ამონაგები	10	39,925,242	38,683,861
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	31,167,189	31,618,035
საერთო მოგება		8,758,052	7,065,826
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	5,067,783	3,783,577
მოგება საერთო ხარჯების შემდეგ		3,690,269	3,282,250
სხვა შემოსავალი		138,184	56,480
სხვა ხარჯები		(164,165)	(26,792)
კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)		(456,653)	700,977
საპროცენტო შემოსავალი		17,066	21,106
საპროცენტო ხარჯი		(592,766)	(442,813)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2,631,935	3,591,207
მოგების გადასახადის ხარჯი		(318,118)	(236,654)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		2,313,817	3,354,553

ზვიად ანთელიძე,
დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2023	2022
	შენ	წლის	წლის
ამონაგები	10	39,925,242	38,683,861
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	31,167,189	31,618,035
საერთო მოგება		8,758,052	7,065,826
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	5,067,783	3,783,577
მოგება საერთო ხარჯების შემდეგ		3,690,269	3,282,250
სხვა შემოსავალი		138,184	56,480
სხვა ხარჯები		(164,165)	(26,792)
კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)		(456,653)	700,977
საპროცენტო შემოსავალი		17,066	21,106
საპროცენტო ხარჯი		(592,766)	(442,813)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2,631,935	3,591,207
მოგების გადასახადის ხარჯი		(318,118)	(236,654)
განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება მოცემული წლისთვის		2,313,817	3,354,553



ზვიად ანთელიძე,
დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2023	2022
	შენ	წლის	წლის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიმდინარე წლის მოგება		2,631,935	3,591,207
კორექტირებები:			
ცვეთა		186,054	154,566
საპროცენტო ხარჯი		592,766	442,813
ამორტიზაცია		1,770	1,487
კურსთა შორისი (მოგება)/ზარალი, ნეტო		456,653	(700,977)
საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		3,869,178	3,489,097
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)		862,008	(139,617)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება / (ზრდა)		(8,450,458)	546,832
გადახდილი ავანსები შემცირება / (ზრდა)		1,387	(61,611)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		3,371,144	3,662,470
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები ზრდა / (შემცირება)		22,309	17,243
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(434,253)	206,883
მიღებული ავანსები ზრდა / (შემცირება)		1,169,490	(226,809)
ფულადი სახსრები გენერირებული საოპერაციო საქმიანობიდან		410,805	7,494,488
გადახდილი პროცენტები		(593,769)	(441,810)
გადახდილი მოგების გადასახადი		(318,118)	(236,654)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(501,081)	6,816,024
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(456,579)	(300,885)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(456,579)	(300,885)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(1,772,298)	(1,684,211)
მიღებული სესხები		(643)	25,413
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(1,772,941)	(1,658,798)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(2,730,601)	4,856,341
კურსთა შორისი სხვაობა ფულად სახსრებში		(160,107)	(551,559)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის		5,584,282	1,279,499
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის		2,693,574	5,584,282


ზვიად ანთელიძე

დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენ	2023 წლის	2022 წლის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიმდინარე წლის მოგება		2,631,935	3,591,207
კორექტირებები:			
ცვეთა		186,054	154,566
საპროცენტო ხარჯი		592,766	442,813
ამორტიზაცია		1,770	1,487
კურსთა შორისი (მოგება)/ზარალი, ნეტო		456,653	(700,977)
საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		3,869,178	3,489,097
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)		862,008	(139,617)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება / (ზრდა)		(8,450,458)	546,832
გადახდილი ავანსები შემცირება / (ზრდა)		1,387	(61,611)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		3,371,144	3,662,470
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		22,309	17,243
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(434,253)	206,883
მიღებული ავანსები ზრდა / (შემცირება)		1,169,490	(226,809)
ფულადი სახსრები გენერირებული საოპერაციო საქმიანობიდან		410,805	7,494,488
გადახდილი პროცენტები		(593,769)	(441,810)
გადახდილი მოგების გადასახადი		(318,118)	(236,654)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(501,081)	6,816,024
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(456,579)	(300,885)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(456,579)	(300,885)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(1,772,298)	(1,684,211)
მიღებული სესხები		(643)	25,413
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(1,772,941)	(1,658,798)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(2,730,601)	4,856,341
კურსთა შორისი სხვაობა ფულად სახსრებში		(160,107)	(551,559)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის		5,584,282	1,279,499
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის		2,693,574	5,584,282



ზვიად ანთელიძე
დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი
31 დეკემბერი, 2021	4,000	8,920,648	20,495
მოგება/(ზარალი)	-	3,354,553	-
გაცემული დივიდენდები	-	(1,684,211)	-
31 დეკემბერი, 2022	4,000	10,590,990	20,495
მოგება/(ზარალი)	-	2,313,817	(20,495)
გაცემული დივიდენდები	-	(1,772,298)	-
31 დეკემბერი, 2023	4,000	11,132,510	-

ზვიად ანთელიძე
დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი
31 დეკემბერი, 2021	4,000	8,920,648	20,495
მოგება/(ზარალი)	-	3,354,553	-
გაცემული დივიდენდები	-	(1,684,211)	-
31 დეკემბერი, 2022	4,000	10,590,990	20,495
მოგება/(ზარალი)	-	2,313,817	(20,495)
გაცემული დივიდენდები	-	(1,772,298)	-
31 დეკემბერი, 2023	4,000	11,132,510	-



ზვიად ანთელიძე
დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელიტ მოტორსი დაარსდა 2008 წლის 1 ივლისს. იგი დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ბინა 48, კანდელაკის 8ბ, თბილისი, საქართველო 0160; ფაქტობრივი მისამართი: მცხეთა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილი 23/800 კმ, თბილისი, ბელიაშვილი 187. ბათუმის ფილიალი: ბათუმი, ხალვაშის ქ. N119. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მძიმე ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, სამშენებლო ტექნიკით და ინსტრუმენტებით ვაჭრობა, სამშენებლო ტექნიკის რემონტი, მძიმე ტექნიკით ვაჭრობა.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ივანე რუაძე - 50%

გიგა ქათამაძე - 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 1 დეკემბერი.

ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და მიმდინარე ანგარიშგების ვალუტას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობები და მათი კეთილმოწყობა - 5-10 წელი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 3-10 წელი

ოფისის მოწყობილობები და ავეჯი - 2-15 წელი

ავტომობილები - 4-10 წელი

სხვა - 3-12 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

(ა) საქონლის რეალიზაცია

ამონაგების აღიარება ხდება მას შემდეგ რაც ხდება საქონლის მიწოდება და მნიშვნელოვანი რისკების და საკუთრების უფლება გადაეცემა მყიდველს.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	1,123	331
ფულადი სახსრები ბანკში	2,692,451	5,583,950
სულ	2,693,574	5,584,282

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ივალენტები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	5,348,463	5,546,748
სხვა მოთხოვნები	17,167	1,014
უიმედო ვალების რეზერვი	(1,798,649)	(1,282,884)
სულ	3,566,980	4,264,877

უიმედო მოთხოვნების ხარჯი 2023 და 2022 წლებში გაიზარდა, რომლებიც შეადგენდა 515,765 ლარს და 689,609 ლარს შესაბამისად.

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
მარაგები საწყობში	17,306,750	10,626,841
მარაგები გზაში	2,075,846	305,297
სულ	19,382,596	10,932,138

7. ძირითადი საშუალებები

31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები:

ლარი	შენიშვნები და მათი კეთილმოწყობა	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის მოწყობილობები და ავეჯი	ავტომობილები	სხვა	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2021	85,290	425,207	171,635	631,930	16,130	1,330,192
შემოსვლა	2,966	-	97,224	224,945	-	325,135
გასვლა	(23,503)	(7,662)	(31,384)	(78,346)	-	(140,895)
31 დეკემბერი, 2022	64,753	417,545	237,475	778,530	16,130	1,514,432
შემოსვლა	5,624	506,408	78,479	102,007	-	692,518
გასვლა	-	(268,456)	(12,133)	(32,418)	-	(313,007)
31 დეკემბერი, 2023	70,377	655,497	303,820	848,119	16,130	1,893,943
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი, 2021	57,534	347,722	102,370	225,165	8,625	741,416
წლიური ცვეთა	13,206	43,417	29,147	66,668	2,127	154,566
გასვლა	(23,192)	(7,496)	(27,523)	(55,891)	-	(114,102)
31 დეკემბერი, 2022	47,548	383,643	103,994	235,942	10,752	781,880
წლიური ცვეთა	7,177	54,296	41,364	81,117	2,100	186,054
გასვლა	-	(25,733)	(11,782)	(15,669)	-	(53,183)
31 დეკემბერი, 2023	54,725	412,206	133,577	301,391	12,852	914,751
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2022	17,205	33,902	133,480	542,588	5,378	732,552
31 დეკემბერი, 2023	15,652	243,291	170,243	546,728	3,277	979,192

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	13,509,815	9,844,170
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	66,650	102,559
სულ	13,576,465	9,946,729

9. სესხები და გადასახდელი პროცენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები და გადასახდელი პროცენტების ვალდებულებები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
პროცენტის ვალდებულება	-	1,003
სულ	-	1,003

კომპანიას გააჩნია 3 საკრედიტო ხაზი პროკრედიტ ნაბკში: 1) საკრედიტო ხაზი # 75.9766, 22.02.2023-22.02.2024, 13% წლიურ ათვისებულ თანხაზე, ათვისებულ თანხაზე 0.2%, ლიმიტი 800,000 ლარი; 2) საკრედიტო ხაზი # 75.10343, 28.11.2023-28.11.2024, 7% წლიურ ათვისებულ თანხაზე, ათვისებულ თანხაზე 0.2%, ლიმიტი 195,000 ევრო; 3) საკრედიტო ხაზი #75.10299, 02.11.2023-04.11.2024, 7.5% წლიურ ათვისებულ თანხაზე, ათვისებულ თანხაზე 0.2%, ლიმიტი 200,000 აშშ დოლარი. კომპანიის შემდეგი აქტივები აქვს დატვირთული პროკრედიტ ბანკს: Volvo EW205D სახელმწიფო ნომერი TT335T, Volvo EC250DL სახელმწიფო ნომერი TT332T, Megalac TLB870SS სახელმწიფო ნომერი TT329T, Megalac TLB870SS სახელმწიფო ნომერი TT326T, Megalac TLB870SS სახელმწიფო ნომერი TT327T, Megalac TLB870SS სახელმწიფო ნომერი TT328T.

10. ამონაგები

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი ამონაგები:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
ამონაგები	41,146,207	39,053,260
დაბრუნება და ფასდათმობა	(1,220,965)	(369,399)
სულ	39,925,242	38,683,861

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	32,135,560	31,792,421
გაუფასურების ხარჯი	-	56,196
დაბრუნება და ფასდათმობა	(968,371)	(322,450)
სულ	31,167,189	31,618,035

12. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

31 დეკემბრით დასრულებულ წელს იყო შემდეგი საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	1,667,356	1,199,276
დებიტორული მოთხოვნების გაუფასურება	528,478	689,609
პრემია	554,840	302,050
იჯარის ხარჯი	368,104	135,944
ტრანსპორტირების და სენახვის ხარჯი	197,925	112,300
ცვეთა და ამორტიზაცია	187,824	156,054
საწვავის ხარჯი	168,049	192,965
მარკეტინგული ხარჯები ხარჯი	164,440	70,634
საგარანტიო დანახარჯები	130,129	92,436
ელექტრო ენერგიის ხარჯი	69,155	51,446

ს ა კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ო ხ არ ჯ ი	58,591	54,897
სხვა ხარჯი	972,892	725,966
სულ	5,067,783	3,783,577

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

	2023	2023
	წლის განმავლობაში რეალიზაცია/შესყიდვა	წლის 31 დეკემბერს არსებული მოთხოვნა/(ვალდებულება)
საქონლის რეალიზაცია	48,957	2,068
საქონლის შესყიდვა	30,669	-
	2022	2022
	წლის განმავლობაში რეალიზაცია/შესყიდვა	წლის 31 დეკემბერს არსებული მოთხოვნა/(ვალდებულება)
საქონლის რეალიზაცია	236,737	213,273
საქონლის შესყიდვა	26,548	(2,548)

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2023	2022
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	111 197	79,496
სულ	111 197	79,496

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გასცა დივიდენდი 2.138.947,44 ლარის ოდენობით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო და დაფარა სესხი შემდეგი მოცულობით 16.840.353,15 და 16.449.353,15. კომპანიამ შეიძინა აქტივები 77.805 ლარის მოცულობის.

შპს „ელიტ მოტორსი“

(საიდენტიფიკაციო N205258228)

მმართველობითი ანგარიში

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა მძიმე სამშენებლო ტექნიკის, სპეც. ტექნიკისა და მათი სათადარიგო ნაწილების იმპორტი, რეალიზაცია და სერვისი;

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია დაფუძნებულია 2008 წლის 1 ივლისს. წილის მფლობელია ორი ფიზიკური პირი, კერძოდ ივანე რუაძე (50% წილის მფლობელი) და გიგა ქათამაძე (50% წილის მფლობელი).

2.2. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- მძიმე სამშენებლო ტექნიკისა და სპეც. ტექნიკის შოურუმი წიწამურში;
- კომპანიის ფილიალი ბათუმში;
- სათადარიგო ნაწილების საწყობი თბილისსა და სამტრედიაში;
- მძიმე სამშენებლო ტექნიკისა და სპეც. ტექნიკის სერვისი;
- გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილება;
- სათადარიგო ნაწილების განყოფილება;
- საფინანსო განყოფილება;

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

3.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება ქ. თბილისში. მძიმე სამშენებლო ტექნიკის, სპეც. ტექნიკისა და მათი მარაგნაწილების რეალიზაციის ბაზარზე, აგრეთვე მძიმე სამშენებლო ტექნიკისა და სპეც. ტექნიკის სერვისზე დიდი კონკურენციაა. ჩვენი კომპანია დღეისათვის კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე. ამასთან, ჩვენ ვართ კომპანიების, ვოლგო ქონსთრაქშენ იქვიპმენტის, სდღგ-ის, ატლას კოპკოს, ლიბჰერის, ვაკერ ნეუსონის, ჯენის, დოიცის, მეკალაკისა და ემსას ოფიციალური დილერი საქართველოში, რაც სერვისის, სასაწყობე მეურნეობის, შრომის, აღრიცხვა-ანგარიშგების და მენეჯმენტის ევროპული სტანდარტებით ორგანიზებასა და წარმოებას გულისხმობს. დღეისათვის საწარმოს სერვისი თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. დაბალია მოსახლეობისა და მეწარმე სუბიექტების მსყიდველუნარიანობა. მცირეა სახელმწიფო შეკვეთები ჩვენს პროდუქციასა და მომსახურებაზე.

მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისმა შესაძლოა გავლენა იქონიოს იმპორტული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და მენეჯმენტზე.

ვალუტის კურსის მერყეობა გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე, ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო,

ფასების ზრდა მძიმე ტექნიკის ბაზრის მოცულობას არსებითად შეამცირებს, რაც გაზრდის ბიზნესის რისკებსა და შეამცირებს გაყიდვების სტაბილურობას.

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია მრავალი მარკეტინგული აქტივობა, რისთვისაც კომპანიას გამოყოფილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები. დაწყებულია მუშაობა კომპანიის სოციალური ქსელების მეშვეობით შეკვეთების მიღების გასაზრდელად და კომპანიის მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და აქციების შესახებ ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მისაწოდებლად.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ
დამტკიცებულია 2024 წლის 01 დეკემბერს.

შპს-ს „ელიტ მოტორსი“
დირექტორი

/ზვიად ანთელიძე/

